

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის

გადაწყვეტილება №3/5/1341, 1660

2022 წლის 24 ივნისი

ქ. ბათუმი

პლენუმის შემადგენლობა:

მერაბ ტურავა – სხდომის თავმჯდომარე;

ევა გოცირიძე – წევრი;

გიორგი თევდორაშვილი – წევრი;

ირინე იმერლიშვილი – წევრი;

გიორგი კვერენჩილაძე – წევრი;

ხვიჩა კვიციანი – წევრი;

მანანა კობახიძე – წევრი;

ვასილ როინიშვილი – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

თეიმურაზ ტულუში – წევრი.

სხდომის მდივანი: დარეჯან ჩალიგავა.

საქმის დასახელება: თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე.

დავის საგანი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 15 აგვისტოს (რეგისტრაციის №1341) და 2021 წლის 24 ნოემბერს (რეგისტრაციის №1660) კონსტიტუციური წარდგინებით მომართა თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ბადრი ნიპარიშვილი). №1341 კონსტიტუციური წარდგინება, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს გადმოეცა 2018 წლის 17 აგვისტოს, ხოლო №1660 კონსტიტუციური წარდგინება კი 2021 წლის 26 ნოემბერს. №1341 კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2020 წლის 14



თებერვალს, ხოლო №1660 კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2022 წლის 23 თებერვალს.

2. №1341 და №1660 კონსტიტუციური წარდგინებები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვლის №3/3/1341 და 2022 წლის 23 თებერვლის №3/4/1660 საოქმო ჩანაწერებით, ნაწილობრივ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 23 თებერვლის №3/4/1660 საოქმო ჩანაწერით, დასახელებული ორი კონსტიტუციური წარდგინება გაერთიანდა ერთ საქმედ.

3. №1341 და №1660 კონსტიტუციურ წარდგინებებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მომართვის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი; „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სასამართლო, პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, მის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ 50%-ისა) შეტანამდე.

5. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი იცავს ადამიანის თავისუფლებას.

6. №1341 და №1660 კონსტიტუციური წარდგინებების მიხედვით, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო განიხილავდა საქმეებს, რომელშიც ბრალდების მხარე, სადავო ნორმის საფუძველზე, შუამდგომლობდა გირაოს გამოყენების შემთხვევაში დაკავებული ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდებაზე. კონსტიტუციურ წარდგინებათა თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადება ადგენს არა სასამართლოს უფლებამოსილებას, არამედ ვალდებულებას, დაკავების ფაქტის გამო, გირაოს უზრუნველსაყოფად გამოიყენოს პატიმრობა. სადავო ნორმით, მოსამართლე ვალდებულია, პირს პატიმრობა შეუფარდოს ყველა შემთხვევაში და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს. გარდა ამისა, სასამართლოს იმ შემთხვევაშიც არ რჩება შეფასების თავისუფლება, როდესაც პროკურორი არ ითხოვს, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, პატიმრობის შეფარდებას, ვინაიდან დაკავების ფაქტი, თავისთავად, მისი გამოყენების წინაპირობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით კი, პატიმრობის შეფარდებისას გადამწყვეტი არ არის მოსამართლის პოზიცია. ამასთან, კონსტიტუციური წარდგინებების ავტორის აზრით, მოქმედი ჩანაწერი არ ითვალისწინებს პატიმრობის შეფარდების მართლზომიერების შეფასების შესაძლებლობას.

7. კონსტიტუციური წარდგინებების ავტორის მტკიცებით, „საპატიმრო გირაოს“ გამოყენების პრაქტიკაში ნაკლოვანებას წარმოადგენს გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტიც, რაც სადავო ნორმიდან გამომდინარეობს. კონსტიტუციური წარდგინებების თანახმად, დაკავების ფაქტი ერთადერთი და გადამწყვეტი ფაქტორია გირაოს გამოყენებისას პირისათვის პატიმრობის შესაფარდებლად. კონსტიტუციურ წარდგინებებში მითითებულია, რომ, საერთო სასამართლოთა პრაქტიკით, დასაბუთებას ექვემდებარება მხოლოდ გირაოს შეფარდება, ხოლო პატიმრობის შეფარდების საკითხი, დასაბუთების გარეშე, განჩინების სარეზოლუციო ნაწილით წყდება. კონსტიტუციურ წარდგინებათა ავტორის მითითებით, სასამართლო ე. წ. „საპატიმრო გირაოს“ შეფარდებისას ასაბუთებს გირაოს გამოყენების მიზანშეწონილობას, რაც იმას გულისხმობს, რომ აღკვეთის ღონისძიების ძირითადი სახე სწორედ გირაოა და, შესაბამისად, პირის დაპატიმრება აუცილებელი აღარ არის. თუმცა, ვინაიდან პირი ფაქტობრივად პატიმრობაში რჩება, მის მიმართ პარალელურად გამოყენებულია მეორე აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა.

8. კონსტიტუციური წარდგინებების ავტორის აზრით, დაკავება, როგორც პატიმრობის გამოყენების უპირობო საფუძველი, პრობლემურია იმ თვალსაზრისითაც, რომ გამორიცხული არ არის, დაკავების განჩინება არასწორად გაიცეს, მოსამართლე კი აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას ვერ



გადასინჯავს დაკავების განჩინების საფუძვლიანობას. შესაბამისად, ასეთი დაკავების გამო, შესაძლოა, პირს შეეფარდოს განგრძობადი პატიმრობა.

9. №1341 და №1660 კონსტიტუციურ წარდგინებებში აღნიშნულია, რომ დაკავებული პირის მიმართ გირაოს შეფარდებისას პატიმრობა ავტომატურად გამოიყენება, ხოლო სხვა აღკვეთის ღონისძიებების (მაგალითად: პირადი თავდებობა, შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ) შეფარდების შემთხვევაში, პირი დაუყოვნებლივ თავისუფლდება დაკავებიდან. იმავდროულად, რთულია კატეგორიულად იმის თქმა, რომ გირაო უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიებაა, ვიდრე სხვა დასახელებული აღკვეთის ღონისძიებები. წარდგინებებში ხაზგასმულია, რომ საპატიმრო გირაო განეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ პატიმრობას და მისი განმარტება არ უნდა მოხდეს სხვაგვარად.

10. დამატებით, №1341 და №1660 კონსტიტუციურ წარდგინებებში თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო ნორმა წინააღმდეგობრივია ისეთ შემთხვევებში, როდესაც პატიმრობის გამოყენება მიიჩნევა დაუშვებლად და სრულიად არასაჭირო ზომად, რადგან გირაო უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს, თუმცა აღნიშნული დასკვნის მიუხედავად, პირს შეეფარდება პატიმრობა. ამასთან, გირაოს გადაუხდელობის შემთხვევაში, შესაძლოა, ბრალდებულს გაუგრძელდეს პატიმრობა. გარდა ამისა, კონსტიტუციურ წარდგინებათა ავტორის მოსაზრებით, სადავო ნორმა პატიმრობის ინსტიტუტის თვითნებურად გამოყენების შესაძლებლობას ქმნის. კერძოდ, თუ ბრალდების მხარე ვერ შეძლებს წარმოადგინოს დაპატიმრებისათვის საკმარისი გარემოებები, მას აქვს საშუალება, დააკავოს პირი, მოითხოვოს გირაო და ამ გზით მოხდეს პირისათვის პატიმრობის შეფარდება. გირაოს გადაუხდელობის შემთხვევაში კი (მისი გადაჭარბებული ოდენობით შეფარდების შემთხვევაში), პატიმრობის ვადა შესაძლოა, ხანგრძლივი აღმოჩნდეს. შესაბამისად, ამ თვალსაზრისითაც ნიშანდობლივია, რომ დაკავების ფაქტი არ არის ადეკვატური სათანადო კრიტერიუმი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ბრალდებულის განგრძობით პატიმრობას.

11. ზემოაღნიშნულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, №1341 და №1660 კონსტიტუციურ წარდგინებათა ავტორის აზრით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თავისუფლების უფლებას და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე თავისუფლების აღკვეთის ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის დაუშვებლობას.

12. საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. სადავო ნორმებით მოწესრიგებული სფეროსა და შესაფასებელი მოცემულობის იდენტიფიცირება

1. №1341 და №1660 კონსტიტუციური წარდგინებებით სადავოდ არის გამხდარი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმა, რომელიც განსაზღვრავს დაკავებული ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენების წესს. კერძოდ, სადავო ნორმის თანახმად, სასამართლო, პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, მის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ 50%-ისა) შეტანამდე.

2. კონსტიტუციური წარდგინებების თანახმად, მოქმედი საპროცესო წესრიგის ფარგლებში, ბრალდებულ პირს, რომელიც დაკავებულია და რომლის მიმართაც აღკვეთი ღონისძიების სახით გამოიყენება გირაო, მოსამართლე პატიმრობას უფარდებს ყველა შემთხვევაში. მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური შეფასების შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება პატიმრობის გამოყენების შესახებ, როდესაც ამას იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს. იმავდროულად, სადავო ნორმა არ ითვალისწინებს პატიმრობის შეფარდების მართლზომიერების შეფასების შესაძლებლობას. აღნიშნული კი ეწინააღმდეგება



საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულ თავისუფლების უფლებას. ამგვარად, კონსტიტუციური წარდგინებების ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს უნდა შეეძლოს, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა პირის მიმართ გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის ღონისძიების გამოყენება.

3. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, განსახილველ საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის a priori შეფარდება ბრალდებულისათვის, რომლის მიმართაც სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით გამოყენებულია დაკავება, რამდენად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ ფიზიკური თავისუფლების უფლებას.

2. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული უფლებით დაცული სფერო

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაცულია ადამიანის თავისუფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული კონსტიტუციური დებულება განამტკიცებს ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობისა და პირადი თავისუფლების უფლებას. აღნიშნული გარანტია ფუნდამენტური უფლებების ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენს და, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საგანგებო დაცვას ექვემდებარება (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2). უფრო კონკრეტულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი გულისხმობს პირის „ფიზიკურ თავისუფლებას, მის უფლებას, თავისუფლად გადაადგილდებოდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).

5. საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესის მიზანია, არ დაუშვას თავისუფლების უკანონოდ, დაუსაბუთებლად და თვითნებურად შეზღუდვა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/654 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1).

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, „ფიზიკური თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება უმნიშვნელოვანესია ზოგადად ადამიანის თავისუფლებისთვის, ფართო გაგებით ადამიანის თავისუფალი განვითარებისთვის, უფლებებით ეფექტურად და სრულყოფილად სარგებლობისთვის. პირადი ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა კანონზომიერად, თავისთავად, ჯაჭვურად იწვევს ფუნდამენტური უფლებების უმრავლესობით შეზღუდულ სარგებლობას ან/და ზოგიერთი მათგანით სარგებლობის შეუძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28). პირი, ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვით, ექცევა ბუნებრივი ყოფისაგან განსხვავებულ, ადამიანის ბუნებისათვის სრულიად არათავსებად მდგომარეობაში, რომელშიც მისი თავისუფლება და ძირითადი უფლებებით სარგებლობა დამოკიდებული ხდება ცალკეულ გარემოებებსა თუ პიროვნებებზე. თავისუფლების შეზღუდვის პირობებში, პირი მოკლებულია საქმიანობის განხორციელების, აზრის სხვადასხვა ფორმით გამოხატვის, თავისუფლად გადაადგილების, პირადი ცხოვრების და სხვა უფლებებით სათანადოდ დაცვის და სარგებლობის შესაძლებლობას. ასე მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენებას, თავისთავად, თან სდევს ოჯახის წევრებთან და გარე სამყაროსთან კავშირის შესაძლებლობის შეზღუდვა. შესაბამისად, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებით დაცული არ არის თავისუფლება აღკვეთილი პირის შესაძლებლობა, რომ შეუზღუდავი კავშირი ჰქონდეს ოჯახის წევრებთან (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/1/704 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16). ამასთანავე, თავისუფლების შეზღუდვის ხასიათის გათვალისწინებით, პირი იზოლირდება საზოგადოებისგან, სრულად იცვლება მისი ყოველდღიური ცხოვრება და ფაქტობრივად არ რჩება არანაირი სივრცე, უფლება, რომელთა განხორციელება, სრულყოფილად სარგებლობაც სათუო არ ხდება. სწორედ ამიტომ, თავისუფლებას არ აქვს თანაბარი ეკვივალენტი, არ არსებობს საზომი, რომლითაც შეიძლება აიწონოს თავისუფლება და არ არსებობს სხვა ფასეულობა, რომელიც სრულად



ჩაანაცვლებდა მას (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28).

7. აღნიშნულის გათვალისწინებით, „ადამიანის თავისუფლება იმდენად წონადი ძირითადი უფლებაა, რომ მასში ჩარევა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უნდა განიხილებოდეს როგორც ultima ratio. თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერი ფორმა ექვემდებარება უმკაცრეს კონტროლს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ჩარევის პროპორციულობის კუთხით. ამასთან, რაც უფრო განგრძობადი და ინტენსიურია ჩარევა, მით უფრო იზრდება შეფასების სიმკაცრე მისი კონსტიტუციურობის განხილვისას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15).

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციამ სახელმწიფოს სამოქმედო არეალი მკაცრად შემოფარგლა, მისი ძალაუფლების საპირწონედ კი ინდივიდი ისეთი პროცესუალური უფლებებით აღჭურა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ თავისუფლების უფლებას გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისაგან დაიცავს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4). საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნაა, სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი საპროცესოსამართლებრივი წესრიგის შექმნა, რომელიც გამორიცხავს ინდივიდისათვის თავისუფლების თვითნებურ შეზღუდვას/აღკვეთას. ფიზიკური თავისუფლებისა და ხელშეუვალობის უფლების კონტექსტში თვითნებობისაგან დაცვის პრინციპის შინაარსი სცდება მარტოდენ ინდივიდის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის კანონიერებას, თავისუფლების შეზღუდვის/აღკვეთის ფორმალურსამართლებრივი საფუძვლების არსებობას და მათ თანმიმდევრულ დაცვას. საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისათვის თვითნებობისაგან დაცვის პრინციპი გულისხმობს, მათ შორის, იმგვარი საპროცესოსამართლებრივი სივრცის არსებობას, რომლის პირობებშიც, გამორიცხება პირისათვის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა/აღკვეთა, როდესაც არ არსებობს თავისუფლების შეზღუდვის/აღკვეთის წონადი და კონსტიტუციურსამართლებრივად გამართლებადი ლეგიტიმური მიზანი, ისევე, როგორც აღნიშნული ღონისძიების გამოყენების რეალური და ობიექტური საჭიროება.

3. სადავო ნორმების შინაარსისა და უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება

9. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადება განსაზღვრავს დაკავებული პირისათვის გირაოს შეფარდების წესს. კერძოდ, სასამართლო, პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, მის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ 50%-ისა) შეტანამდე.

10. ამდენად, სადავო ნორმიდან გამომდინარე, დაკავებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება გირაოს უზრუნველყოფამდე ყველა შემთხვევაში იწვევს მის პატიმრობაში ყოფნას. ამასთან, სადავო რეგულირება აბსოლუტური ხასიათისაა და გამორიცხება მოსამართლის შესაძლებლობა, აღკვეთის ღონისძიების სახით პირის მიმართ გირაოს გამოყენების შემთხვევაში, ბრალდებული იქამდე გაათავისუფლოს პატიმრობიდან, ვიდრე იგი სათანადო წესით უზრუნველყოფს გირაოს შეტანას.

11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვის ინტენსიურობის დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს მრავალ ფაქტორს, მათ შორის იმას, თუ რა მიზნით ხდება პირისთვის კონკრეტული ადგილის დატოვების აკრძალვა, როგორია მის ნებაზე ზემოქმედების ფარგლები, რამდენად ეზღუდება ამა თუ იმ სივრცეში განთავსებისას მოქმედების თავისუფლება, როგორია უფლებაშეზღუდული პირის სამართლებრივი სტატუსი, რა შედეგის დადგომას ისახავს მიზნად ამგვარი შეზღუდვა და სხვა. შემზღუდველი ღონისძიების საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის რეგულირების ქვეშ



მოქცევას, უმთავრესად, ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის, მის ნებაზე ზემოქმედების ხარისხი განაპირობებს. ამასთან, მხოლოდ ის გარემოება, თუ რა ვადით ხდება კონკრეტული ადგილის დატოვების აკრძალვა, ვერ გამოდგება პირის ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის წარმოსაჩენ თვითკმარ არგუმენტად. ის, თუ რა ვადით ეკრძალება პირს განსაზღვრული ადგილის დატოვება, მნიშვნელოვანი, თუმცა არა გადამწყვეტი ფაქტორია (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტაძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-16).

12. თავისუფლების უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ძირითადი სახე პირის დაკავება ან/და დაპატიმრებაა. დაპატიმრება წარმოადგენს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებში ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ (ინტენსიურ) ჩარევას. ზოგადად, სისხლის სამართლებრივი დევნა, განსაკუთრებით, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, ბრალდებულისათვის მძიმე ტვირთს წარმოადგენს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/654 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-4).

13. ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებულ თავისუფლების უფლებაში ჩარევა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც იზღუდება ინდივიდის ფიზიკური თავისუფლება, მათ შორის, მისი პატიმრობაში ყოფნით. განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნორმა წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო წესრიგის ერთ-ერთ ელემენტს. ინდივიდი საპატიმრო დაწესებულებაში რჩება ბრალდებულის სტატუსით, მისთვის ფიზიკური თავისუფლების აღკვეთის მიზნით და მასზე ვრცელდება ის ორდინალური სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც დაპატიმრებული პირების მიმართ გამოიყენება.

14. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული რეგულაცია იწვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევას.

4. უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლება

4.1. შეფასების ტესტი

15. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული ადამიანის თავისუფლების უფლება, მიუხედავად მისი მაღალი კონსტიტუციური მნიშვნელობისა, „არ არის აბსოლუტური და მასში ჩარევა შესაძლებელია, მკაცრი კონსტიტუციურსამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც იცავს ნებისმიერ ადამიანს შესაძლო სახელისუფლებლო თვითნებობისაგან. კონსტიტუციურსამართლებრივი შემოწმების სიმკაცრის ხარისხს ზრდის ის გარემოებაც, რომ ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა და განსაკუთრებით კი მისი ყველაზე ინტენსიური ფორმა თავისუფლების აღკვეთა აფერხებს და ზოგჯერ სრულიადაც გამორიცხავს ადამიანის მიერ სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). სწორედ ამიტომ, კანონმდებელი ვალდებულია, შექმნას ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც, ერთი მხრივ, გამორიცხავს პირის თავისუფლების მყარი, კონსტიტუციურად ლეგიტიმური საფუძვლის არსებობის გარეშე შეზღუდვას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს კონსტიტუციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური უფლებების გარანტირებას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/654 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1).

16. ამასთანავე, კონსტიტუციური უფლებების, მათ შორის, ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის შეფასების საზომი თანაზომიერების პრინციპია. „აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შეზღუდვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაძეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია



ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

17. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, თავდაპირველ ეტაპზე, უნდა შეაფასოს, რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება საქმის განმხილველი სასამართლოს მხრიდან პირის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით, გირაოს გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, ინდივიდის a priori პატიმრობაში დატოვება; შემდგომში კი, რამდენად პასუხობს აღნიშნული მიდგომა თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის სხვა ისეთ მოთხოვნებს, როგორებიც არის გამოსადეგობა, აუცილებლობა ან/და პროპორციულობა (ვიწრო გაგებით).

4.2. უფლების სასამართლოს მიერ შეზღუდვის მოთხოვნა

18. თავისუფლების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი *expressis verbis* მიუთითებს, რომ თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო, ერთი მხრივ, მოქმედებს როგორც ადამიანის ფიზიკური თავისუფლების დაცვის გარანტი, ხოლო, მეორე მხრივ, მისი შეზღუდვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ლეგიტიმური ორგანო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/1/503, 513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).

19. სადავო ნორმის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, პატიმრობას უფარდება სასამართლო. შესაბამისად, სადავო ნორმა აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას, თავისუფლების უფლების სასამართლოს გზით შეზღუდვის თაობაზე.

4.3. ლეგიტიმური მიზანი

20. წინამდებარე კონსტიტუციური დავის გადაწყვეტისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად მიიჩნევს, დაადგინოს, რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება სადავო რეგულირებიდან გამომდინარე შეზღუდვა, რადგანაც „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება „ისრაელის მოქალაქეები თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15).

21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წერილობით მიმართა მოპასუხე მხარეს საქართველოს პარლამენტს განსახილველ საქმეზე სადავოდ გამხდარ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი პოზიციის დაფიქსირების მოთხოვნით. საქართველოს პარლამენტს არ წარმოუდგენია მოსაზრება აღნიშნული საკითხების თაობაზე. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ცნობილი არ არის საქართველოს პარლამენტის პოზიცია, მათ შორის, არც სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით.

22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების პროცესში სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის შებოჭილი მოპასუხის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნით, ისევე, როგორც მოპასუხე მხარის მიერ მისი დასახელებისგან თავის შეკავება, თავისთავად, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ვერ განაპირობებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავად დაადგენს გასაჩივრებული ნორმიდან გამომდინარე ლეგიტიმურ მიზანს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე "თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის



მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე" II-55, 56; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/2/1428 გადაწყვეტილება საქმეზე „კობა თოდუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-24).

23. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, იმ მიზნებს, რომელთა უზრუნველსაყოფადც გამოიყენება აღკვეთის ღონისძიებები, მათ შორის, პატიმრობა. კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღკვეთის მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

24. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „დანაშაულთან ეფექტური ბრძოლა და მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების შეუფერხებელი განხორციელება, ... და დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა უმნიშვნელოვანესი საჯარო ინტერესებია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). უდავოა, რომ ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების გარანტირება, მისი მხრიდან შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, ისევე, როგორც საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დაცვა და განაჩენის აღსრულება ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი წინაპირობებია.

25. დანაშაულის პრევენცია, ისევე, როგორც შესაძლო დამნაშავის გამოვლენა და მის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელება, მნიშვნელოვან კონსტიტუციურ სიკეთეს წარმოადგენს, რომლის დასაცავადც, გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლებელია ადამიანის ფიზიკური თავისუფლება შეიზღუდოს. ეს ცალსახად გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის სულისკვეთებიდან, ვინაიდან იგი თავადვე ადგენს ბრალდებულის დაპატიმრების შესაძლებლობას და გარკვეული ვადით შემოფარგლავს მას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/654 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-50). ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ის მიზნები, რომელთა დაცვასა და უზრუნველყოფასაც ემსახურება თითოეული აღკვეთის ღონისძიება, წარმოადგენს მნიშვნელოვან ლეგიტიმურ ინტერესს და მათ მისაღწევად დასაშვებია პირის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა.

4.4. შეზღუდვის გამოსადეგობა

26. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის გამართლებისათვის მარტოდენ ლეგიტიმურ მიზანზე მითითება საკმარისი არ არის. სხვა პირობებთან ერთად, ასევე აუცილებელია, დაკმაყოფილებული იყოს გამოსადეგობის მოთხოვნაც. თავის მხრივ, ღონისძიების გამოსადეგობაზე მსჯელობისას „საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი საქართველოს პარლამენტის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმებით დადგენილ უფლების შეზღუდვის ფორმას შორის – რამდენად იძლევა სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48).

27. გირაოს უზრუნველყოფამდე პირის პატიმრობაში დატოვება ფაქტობრივად გამორიცხავს ბრალდებულის სასამართლოში გამოუცხადებლობას, არსებითად აზღვევს, მისი მხრიდან, საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურებას, ისევე, როგორც ხელახალი დანაშაულის ჩადენას და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლას; ხოლო მოგვიანებით, გირაო



უზრუნველყოფა ქმნის გარანტიებს, რომ ბრალდებული, ქონებრივი ინტერესის გათვალისწინებით იმოქმედებს მისთვის კანონით დადგენილი ვალდებულებების ფარგლებში. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება გამოძიებისთვის ხელშემშლის თავიდან აცილებისა და მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელებისათვის პირობების შექმნის გამოსადეგი საშუალებაა.

4.5 აუცილებლობა

28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „გამოსადეგობასთან ერთად შემზღვეველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შეზღუდვის აუცილებელ (ყველაზე ნაკლებად მზღვეველ) საშუალებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). თანაზომიერების პრინციპის საწინააღმდეგოა ნებისმიერი ნორმატიული აქტი, რომელიც იმაზე მეტად ზღუდავს უფლებას, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის საჭირო.

29. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს აღკვეთის ღონისძიების სახეებს. კერძოდ, აღკვეთის ღონისძიების სახეებია: გირაო, შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა. აღნიშნული კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული თითოეული აღკვეთის ღონისძიება, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღკვეთის მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და უზრუნველყოფილ იქნეს საქმეზე განაჩენის აღსრულება. იმავდროულად, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო წესრიგის შესაბამისად, ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ზემოხსენებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. უფრო მეტიც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 205-ე მუხლის პირველი ნაწილი სპეციალურ მითითებას აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ დაუშვებელია, სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს იმ შემთხვევაში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის და მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა ანდა ახალი დანაშაულის ჩადენა. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ჩამოთვლილთაგან ყველაზე მძიმე აღკვეთის ღონისძიების სახედ მიიჩნევა პატიმრობა და მისი გამოყენება უნდა მოხდეს როგორც უკიდურესი საშუალება.

30. ამასთანავე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სასამართლოს აკისრებს ვალდებულებას, აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ისევე, როგორც მისი თითოეული ფორმის შერჩევისას, მხედველობაში მიიღოს და გაითვალისწინოს ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი და სხვა გარემოებები.

31. ამდენად, აღკვეთის ღონისძიება სასამართლოსა და ბრალდების მხარის ხელთ არსებული მექანიზმია, რომლითაც, ცალკეული უფლებების შეზღუდვის შედეგად, შესაძლებელი ხდება ბრალდებულის მხრიდან მომდინარე რისკების პრევენცია. თავის მხრივ, აღნიშნული რისკები, გამოძიებისთვის ხელის შეშლისა თუ სხვა სახის საფრთხეები განსხვავებული მასშტაბის და სიმწვავისაა, რაც ლოგიკურად მოითხოვს სასამართლოს მხრიდან ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასებას და ინდივიდუალიზებული გადაწყვეტილების მიღებას. იმავდროულად, როგორც გირაო, ისე პატიმრობა და სხვა აღკვეთის ღონისძიებები არსებითად ემსახურება ერთი და იმავე მიზნის მიღწევას. შესაბამისად, იმისათვის, რომ მათი გამოყენება პასუხობდეს აუცილებლობის მოთხოვნას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საფრთხის ბუნებისა და ხარისხის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს აღკვეთის ღონისძიებებიდან ბრალდებული პირის უფლებების ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალებების შერჩევა.

32. აღნიშნული წესისაგან განსხვავებით, სადავო ნორმა, გამონაკლისის სახით, დაკავებული



ბრალდებულისათვის ერთი აღკვეთი ღონისძიების, კერძოდ გირაოს შეფარდების შემთხვევაში იმავდროულად გულისხმობს მეორე, ყველაზე მძიმე აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის შეფარდებას. კერძოდ, დაკავებული პირი, რომელსაც ეფარდება გირაო, იქამდე რჩება პატიმრობაში, ვიდრე არ უზრუნველყოფს გირაოს თანხის სრულად ან ნაწილობრივ შეტანას. თავისთავად ის გარემოება, რომ პირი დაკავებულია, a priori ვერ გახდება პატიმრობის გამართლების საფუძველი ან წინაპირობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ამდენად, პირის დაკავება უკავშირდება ხანმოკლე, მაქსიმუმ, 72 საათიან პროცესს, აღნიშნული პერიოდის შემდეგ პატიმრობის გამოყენების საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის პირობით. საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი საპროცესო კოდექსი, კონსტიტუციის მსგავსად, ერთმანეთისგან მიჯნავს დაკავებასა და პატიმრობას. პატიმრობის საკითხს, მის საჭიროებასა და აუცილებლობას მოსამართლე დაკავების ფაქტისგან დამოუკიდებლად განიხილავს.

33. სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქმედებს პრინციპი ინდივიდის თავისუფლების სასარგებლოდ. აღნიშნული გულისხმობს, რომ პატიმრობის გზით პირის თავისუფლების შეზღუდვა არის არა წესი, არამედ გამოწვევის. პირის თავისუფლების შეზღუდვა წარმოადგენს უკიდურეს ღონისძიებას, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გამოწვევის შემთხვევაში და ვითარებაში, მაშინ, როდესაც აღნიშნული ღონისძიება არის აბსოლუტურად აუცილებელი და ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არ არსებობს სხვა ალტერნატივა.

34. ინდივიდის ფიზიკური თავისუფლებისა და ხელშეუვალობის უფლება თვითნებურად იზღუდება მაშინ, როდესაც პირი თავისუფლების აღკვეთის/საპატიმრო დაწესებულებაში განაგრძობს ყოფნას იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არსებობს თავად თავისუფლების შეზღუდვის აუცილებელი, საგამონაკლისო საფუძველი. როგორც აღინიშნა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას, პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ეჭვის არსებობასთან ერთად, აუცილებელია, დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. სწორედ ამ გარემოებების არსებობის დასაბუთებული ვარაუდი წარმოშობს პირის დაპატიმრების ფორმალურ საფუძველს იმ დათქმით, რომ შეუძლებელი უნდა იყოს დასახელებული მიზნების უზრუნველყოფა სხვა, უფლების უფრო ნაკლებად შემზღუდველი საშუალებებით. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო აღკვეთის ღონისძიების სახით, გირაოს გამოყენების შესახებ იღებს გადაწყვეტილებას, იგი, ერთი მხრივ, დადასტურებულად მიიჩნევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფრთხის არსებობას, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევის ყველაზე ოპტიმალური, შესაფერისი და საკმარისი სახე სწორედ დასახელებული ღონისძიებაა.

35. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, რომ პრაქტიკაში შესაძლებელია, არსებობდეს, აღკვეთის ღონისძიების სახით, გირაოს გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომაც, გარკვეული პერიოდი ბრალდებულის მიერ სასამართლოს მხრიდან განსაზღვრული გირაოს გადახდის უზრუნველსაყოფად, ცალკეულ გამოწვევის შემთხვევაში, პირის პატიმრობაში დატოვების ობიექტური საჭიროება. მაგალითად, მოსამართლე შეიძლება მიიჩნევდეს, რომ გირაოს გადახდამდე ბრალდებულის გათავისუფლება ქმნის მიმალვის დაუყოვნებელ საფრთხეს. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოსამართლე ასევე შეიძლება თვლიდეს, რომ მიმალვის მყისიერი საფრთხე არ არსებობს, თუმცა არის რისკები, რომ ბრალდებული არ გამოცხადდება გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩანიშნულ სასამართლო სხდომაზე. ბუნებრივია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან შემთხვევათა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, შეუძლებელია წინასწარ აღნიშნული შემთხვევების ამომწურავად განსაზღვრა, რამდენადაც ამგვარი ვითარების არსებობა საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე და სხვადასხვა გარემო-ფაქტორებზეა დამოკიდებული. თუმცა ასევე ბუნებრივია, რომ სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, მოსამართლე შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ არსებობს გირაოს გამოყენების საფუძველი, მაგრამ აუცილებელი არ არის ბრალდებულის მიერ მისი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფა, ანდა, გირაოს უზრუნველყოფისათვის, აუცილებელი არ არის ბრალდებულის პატიმრობაში დატოვება. ამგვარ ვითარებაში, გირაოს (ან მისი ნაწილის) გადახდამდე ბრალდებულის პატიმრობაში დატოვების აუცილებლობა არ არსებობს. ამდენად, ამკარაა, რომ სწორედ საქმის ინდივიდუალური



გარემოებებიდან გამომდინარე და არსებული საფრთხეების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს მოსამართლემ, თუ გირაოს დაუყოვნებლივ გადახდის უზრუნველსაყოფად, რამდენად არსებობს პირის პატიმრობაში დატოვების აუცილებლობა.

36. აღსანიშნავია, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევს, აღკვეთის ღონისძიება შეარჩიოს მხოლოდ 199-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სახეებიდან. ხოლო 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით, აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, გათვალისწინებულია ბრალდებულის მიმართ გამოსაყენებელი დამატებითი ღონისძიებები. ამდენად, თუ მოსამართლე მიჩნევს, რომ საფრთხეების უზრუნველსაყოფად საჭიროა ბრალდებულის მიერ ფინანსური უზრუნველყოფის წარდგენა, იგი იძულებულია, გამოიყენოს გირაო (ყველა მასთან დაკავშირებული შედეგით), რადგან სწორედ ეს ღონისძიებაა ამ მიზნის მისაღწევად კანონით განსაზღვრული. სადავო ნორმის მოქმედების შედეგად კი მოსამართლე მოკლებულია შესაძლებლობას, დაკავებული პირი გაათავისუფლოს და, ამავე დროს, განუსაზღვროს მას სხდომაზე გამოცხადების უზრუნველყოფის ფინანსური გარანტია. შესაბამისად, სადავო ნორმა არ აძლევს მოსამართლეს შესაძლებლობას, შეაფასოს, ერთი მხრივ, რამდენად არსებობს პირის გათავისუფლებამდე გირაოს გადახდის აუცილებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, რამდენად არის საჭირო გადახდის უზრუნველსაყოფად პატიმრობის გამოყენება. როგორც აღინიშნა, შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევაში მართლაც არსებობდეს ვითარება და გარემოებები, რომელთა გათვალისწინებითაც სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევდა გირაოს თანხის უზრუნველყოფამდე პირის პატიმრობაში დატოვებას, თუმცა, ბუნებრივია, მსგავსი საჭიროება ყოველთვის არ იარსებებს. სწორედ ამგვარი შემთხვევების საკუთარ პრაქტიკაში არსებობაზე მიუთითებს №1341 და №1660 კონსტიტუციური წარდგინების ავტორიც. ამავე ლოგიკით, კანონმდებელი, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით, გირაოს გამოყენებისათვის დადგენილი წესით მიიჩნევს, რომ აღკვეთი ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებისას შესაძლებელია ლეგიტიმური მიზნების მიღწევა და, დამატებით, გირაოს შეტანამდე არ ხდება მისი (ბრალდებულის) ქცევის სხვა მექანიზმებით გარანტირება.

37. ამგვარად, მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების (ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება) ლეგიტიმური მიზნის მიღწევის სხვა, ნაკლებად მზლუდავი საშუალება იქნებოდა, მოსამართლის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პირისათვის პატიმრობის შეფარდების აუცილებლობის შემოწმება. შესაბამისად, სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა იმაზე ფართოა, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის ობიექტურად საჭირო. ამდენად, სადავო რეგულირება არ აკმაყოფილებს აუცილებლობის მოთხოვნებს.

38. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს მოსამართლის მიერ ბრალდებულის გირაოს შეტანამდე გათავისუფლებას, არ პასუხობს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ პუნქტს.

III

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-5 და მე-11 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 27³ მუხლის მე-2 პუნქტის, 42-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის, 44-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს:

1. არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-



200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს მოსამართლის მიერ ბრალდებულის გირაოს შეტანამდე გათავისუფლებას საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

2. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

3. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

4. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

5. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

6. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

პლენუმის შემადგენლობა:

მერაბ ტურავა

ევა გოცირიძე

გიორგი თევდორაშვილი

ირინე იმერლიშვილი

გიორგი კვერენჩილაძე

ხვიჩა კიკილაშვილი

მანანა კობახიძე

ვასილ როინიშვილი

თეიმურაზ ტულუში

